

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა  
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

## ოქმი N 1

ქ.ვანი თავისუფლების N65

20 თებერვალი 2019 წელი

11 : 00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** დავით ხარძეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადვიშვილი, სანდრო ხურციძე, გია ოჩხიკიძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** გიგა გოგიბერიძე, შოთა გიორგაძე, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე, აპოლონ რამიშვილი.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

**მოწვეული პირი:** სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - მამუკა ნამიჭეიშვილი.

*ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ზვიად კაპანაძე.*

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **დავით ხარძეიშვილი (კომისიის უხუცესი წევრი)**  
კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

## დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმართველობისა და რეგიონალური განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის N27 69 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი.

2. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“.

მომხს: ზვიად კაპანაძე

**გადაწყვეტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიტორელიძემ ( მომხსენებლის მამუკა ნამიჭიშვილის საპატიო მიზეზის არ ყოფნის გამო) კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმართველობისა და რეგიონალური განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის N27 69 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019 წლის განსახორციელებელ პროექტებს დაემატა კიდევ თერთმეტი პროექტი თანხით 2, 499, 994 ლარით. პროექტების ჩამონათვალი დანართის სახით თან ერთვის.

ბატონმა დავით ხარძეიშვილმა შენიშვის სახით გამოთქვა თავისი მოსაზრება ყუმურის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ დუცხუნის მიმართულებით გზის რეაბილიტაციათა დაკავშირებით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა თუ ჯერ გვერით ჯიბეებს გაუკეტებთ გზის სავალ ნაწილს, რადგან ასეთი ვიწრო გზის გამო შეუძლებელია მანქანებმა გვერდი აუაროს ერთმანეთს. სანამ პროექტი დაიგეგმება მე მართლ ყუმურის ტერიტორიას კიარ ვგულისხმობ, საერთოდ კარგია თუ გავითვალისწინებთ ჯერ ასეთ პრობლემას და შემდეგ დავიწყებთ გზის შეკეთებას.

მომხსენებელმა გელა ჩიტორელიძემ აღნიშნა, რომ მომავლისთვის აუცილებლად გავითვალისწინებთ ტექნიკურ პრობლემაში და შემდეგ შედგება დეფექტური აქტი სადაც მოხდება ასეთი პრობლემის აღმოფქვრა.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

**დაადგინეს:**

დამტკიცდეს და ცლილება შევიდეს „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმართველობისა და რეგიონალური განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის N27 69 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანას.

**/დანართი 2/**

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენი სამსახური საკრებულოს თანხმობით ყოველწლიურად ვამტკიცებთ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენას. კერძოდ:

- ა) ვანის ტერიტორიაზე - 8,88 ლარით;
  - ბ) ვანის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე - 4, 00 ლარით;
  - გ) ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50-მ რადიუსში - 6,00 ლარით;
  - დ) დასახლებათა შორის არეალებში - 3,00 ლარით.“
- კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ საკითხს.

მომხრე - 8  
წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

### **დაადგინეს:**

კომისიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“.

**/დანართი 3/**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

### **დავით ხარბეიშვილი**

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა  
და ინფრასტრუქტურის კომისიის უხუცესი წევრი